დანართი N13

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანო და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი

1. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ დადგენილი წესის შესაბამისად, ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექცია“ (შემდგომში – ინსპექცია).

2. ინსპექცია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ XIV და XV თავებით დადგენილი წესით.

3. ინსპექციის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ინსპექციის დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

4. ინსპექციის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილი წესით საჩივრდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერთან, ხოლო შემდგომ – სასამართლოში.